

№ 2013/07-03

«20» თებერვალი 2013

აუდიტორული დასკვნა № 2013/07-03

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან 2013 წლის 5 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დამოუკიდებელმა აუდიტორულმა ფირმამ შპს „L აუდიტი“-მ ჩატარა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თვითმართვადობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს 2012 წლის ბიუჯეტის შედგენა-შესრულებისა და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ამსახველი დოკუმენტაციის ბუღალტრული აღრიცხვის და მასთან დაკავშირებული ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება.

აუდიტზე წარმოდგენილ სააღრიცხვო დოკუმენტების და საანგარიშგებო მონაცემების მომზადებაზე, მათ სისრულეზე, უტყუარობაზე და სინამდვილეზე პასუხისმგებელია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ აუდიტური დასკვნა.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და

მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მოლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს საქართველოში მოქმედი საბიუჯეტო პროცესისა და ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემოსულობებისა და ხარჯების მოძრაობას, იგი არ შეიცავს არსებით უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტორულ დასკვნას თან ერთვის შემოწმების პროგრამით განსაზღვრული საკითხების შესაბამისად შედგენილი ანგარიში, სადაც დაფიქსირებულია შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებები.

დანართი: ანგარიში 12 ფურცელი

შპს „ლაუდიტი“-ს დირექტორი :  მ. დვალიშვილი

ანგარიში

ქ.წალენჯიხა

20 თებერვალი 2013წ.

I. მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №4 განკარგულებით და 2012 წლის 24 თებერვლის №11 დადგენილებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი და ტერიტორიული ორგანოების სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც საკრებულო განისაზღვრა 25 საშტატო ერთეულით, გამგეობა განისაზღვრა 114 საშტატო ერთეულით, მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები განისაზღვრა 51 საშტატო ერთეულით. სულ 165 საშტატო ერთეული.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 23 მარტის №37 განკარგულებით შევიდა ცვლილება დამტკიცებულ სტრუქტურაში. ცვლილება შეეხო ჯვარის სახანძრო განყოფილების სპეციალისტებს, სადაც საშტატო რიცხოვნობა 12 ერთეულიდან 13 ერთეულამდე გაიზარდა. ფაქტიურად საანგარიშო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის გამგეობაში დასაქმებულა საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 159 ერთეულს, დამტკიცებულ საშტატო ნუსხასთან შედარებით 7 ერთეულით ნაკლებს. გარდა შტატიანი თანამშრომლებისა, გამგეობაში დასაქმებულია ხელშეკრულების საფუძველზე 9 შტატგარეშე მოსამსახურე.

II. საბიუჯეტო კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა, ბიუჯეტის შედგენა - შესრულებისა და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების რეალობა

2012 წლის ბიუჯეტის პროექტი გამგეობის საფინანსო სამსახურის მიერ საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინა 2011 წლის 15 ნოემბერს, რაც შეესაბამება "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" კანონის მე-3 თავის მე-13 მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პროექტით შემოსავლები განსაზღვრული იყო 4313.0 ათასი ლარით, აქედან ადგილობრივი გადასახადები დაგეგმილი იყო 2924.0 ათასი ლარის მოცულობით (მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი 2824.0 ათასი ლარი, მიწის გადასახადი 100.0 ათასი ლარი), სხვა შემოსავლები განსაზღვრული იყო 190.0 ათასი ლარი, შემოსავლები სახელმწიფო გრანტებიდან 1149.0 ათასი ლარი (მათ შორის: გამოთანაბრებით ტრანსფერი 990.0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 150.0 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების კლება დაიგეგმა 50.0 ათასი ლარით.

2013 წლის 20 თებერვლის №2013/07-03 აუდიტორული დასკვნის დანართი

ბიუჯეტის პროექტით 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯები დაიგეგმა 4313.0 ათასი ლარის მოცულობით, მათ შორის: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა 1386.0 ათასი ლარი, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხარჯი-230.0 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური-90.0 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია-660.0 ათასი ლარი, საგანმანათლებლო ღონისძიებები-490.0 ათასი ლარი, სპორტული და კულტურული ღონისძიებები-810.0 ათასი ლარი, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები-527.0 ათასი ლარი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება-120.0 ათასი ლარი. ბიუჯეტის პროექტის განხილვის შემდეგ 2011 წლის 27 დეკემბრის №29 დადგენილებით მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა 2012 წლის ბიუჯეტი როგორც შემოსულობების ისე გადასახდელების ნაწილში 4500.0 ათ. ლარის ოდენობით, წარდგენილ პროექტთან შედარებით 187.0 ათასი ლარით მეტი.

პროექტთან შედარებით, დამტკიცებულ ბიუჯეტში: შემოსავლების ნაწილში ადგილობრივი გადასახდელების გეგმა გაიზარდა 166.8 ათასი ლარით, გრანტების გეგმა გაიზარდა 20.2 ათასი ლარით(მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერის გეგმა გაიზარდა 0.2 ათასი ლარით, მიზნობრივი ტრანსფერის გეგმა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით) გადასახდელების ნაწილში პროექტთან შედარებით დამტკიცებულ ბიუჯეტში: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების გეგმა გაიზარდა 156.0 ათასი ლარით, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხარჯების გეგმა გაიზარდა 5.0 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა გაზრდილია 10.0 ათასი ლარით, საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების გეგმა გაიზარდა 10.0 ათასი ლარით, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯების გეგმა გაიზარდა 16.0 ათასი ლარით, ხოლო შემცირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების ხარჯების გეგმა 10.0 ათასი ლარით.

2012 წლის 27 იანვრის საკრებულოს №1 დადგენილებით 2011 წლის გარდამავალი ნაშთის 889.4 ათასი ლარის და მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №55 განკარგულებით გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე /500 ათ.ლარი/ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა 5889.4 ათასი ლარით.

2012 წლის 24 თებერვლის საკრებულოს №7 დადგენილებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამები“-ს ხარჯზე /734.0 ათ. ლარი/ ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა 6623.4 ათასი ლარით.

2012 წლის 22 მაისის საკრებულოს №20 დადგენილებით საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის №501(60.0 ათასი ლარი) და 2012 წლის 24 აპრილის №722(2000.0 ათასი ლარი) განკარგულებებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა 8683.4 ათასი ლარით.

2012 წლის 21 ივნისის საკრებულოს №22 დადგენილებით საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის №972 განკარგულებით 2013 წლის 20 თებერვლის №2013/07-03 აუდიტორული დასკვნის დანართი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური დანიშნულების ტრანსფერის ხარჯზე / 625.0 ათ. ლარი/ ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა 9308.4 ათ.ლარით.

2012 წლის 20 ივლისის საკრებულოს №23 დადგენილებით საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 ივლისის №13/07/07 განკარგულებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე /200.0 ათასი ლარი/ ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა 9508.4 ათ.ლარით.

2012 წლის 31 ივლისის საკრებულოს №24 დადგენილებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 20 ივლისის №1125 ბრძანებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი(53.09 ათასი ლარი)და საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის №26/07/11 განკარგულებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი(200.0ათასი ლარი) სპეციალური დანიშნულების ტრანსფერის ხარჯზე ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა 9761.5 ათ.ლარით.

2012 წლის 26 ოქტომბრის საკრებულოს № 26 დადგენილებით ბიუჯეტში კვლავ მოხდა ცვლილებები, კერძოდ: საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 30 ივლისის №1162 ბრძანებით სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად გამოიყო 145.0 ათასი ლარი, ასევე მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №1380 განკარგულებით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის გამოიყო 16.0 ათასი ლარი, მთავრობის 2012 წლის 13 აგვისტოს №1596 განკარგულებით ჯვარზენი-ჩქვალერი-საჩინოს გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 2000.0 ათასი ლარი გადაეცა საავტომობილო გზების დეპარტამენტს და ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა 7922.5 ათ.ლარით.

2012 წლის 28 დეკემბრის საკრებულოს №29 დადგენილებით: ა) აისახა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში მთავრობის 2012 წლის 11 დეკემბრის №1995 განკარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი „აღებული ვალდებულებებისა და მიმდინარე ხარჯების დასაფარავად„ გამოყოფილი 500.0 ათასი ლარი; ბ) შემცირებული იქნა ქონების გადასახადის მუხლი 784.8 ათასი ლარით; გ) გაზრდილი იქნა „სხვა შემოსავლები„-ს მუხლი 133.5 ათასი ლარით; და საბოლოოდ 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა 7922.5 ათასი ლარით(საიდანაც 889.4 ათასი ლარი 2012 წლის 1 იანვრისათვის გარდამავალი ნაშთია, 7033.1 ათასი ლარი 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმა).

საანგარიშო წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ყველა ცვლილება ასახულია საკანონმდებლო მაცნეში.

2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით, სავადასახადო შემოსულობების გეგმა განსაზღვრული იყო 3090.8 ათასი ლარი(ქონების გადასახადის სახით), ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 68.68%. საანგარიშო წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით ეს მაჩვენებელი შემცირდა 784.8 ათასი ლარით და დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში შეადგინა 32.79%.

2013 წლის 20 თებერვლის №2013/07-03 აუდიტორული დასკვნის დანართი

რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეების ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტებს, იგი დამტკიცებული ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 1169.2 ათასი ლარის მოცულობით, აქედან: გათანაბრებითი ტრანსფერი 999.2 ათასი ლარის და მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებლად 170.0 ათასი ლარის ოდენობით. ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ სულ მისაღებმა გრანტებმა შეადგინა 4202.3 ათასი ლარი, საიდანაც 1169.2 ათასი ლარი ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერებია, 3033.1 ათასი ლარი სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებია.

2012 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით, გადასახდელების დასაფარავად აგრეთვე მიმართულია წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი 889.4 ათასი ლარის ოდენობით.

საკრებულოს მიერ ბიუჯეტის შემოსულობების გეგმის შემცირების გადაწყვეტილებები მიღებულია წლის ბოლოს, რაც ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმარებაზე მიუთითებს.

2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში 8-ჯერ განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც გადასახდელების გეგმური ოდენობა გაიზარდა საერთო თანხით 3422.5 ათასი ლარით, მათ შორის: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების გეგმა გაიზარდა 291.4 ათასი ლარით, საგანგებო სიტუაციების მართვის საქალაქო სამსახურის ხარჯების გეგმა გაიზარდა 60.5 ათასი ლარით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების - 1.0 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის - 2792.9 ათასი ლარით, საგანმანათლებლო ღონისძიებების - 37.6 ათასი ლარით, სპორტული და კულტურული ღონისძიებების - 104.6 ათასი ლარით, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის - 134.5 ათასი ლარით.

დანართი № 1-15 --- ფურცლად

1. ბიუჯეტის შემოსულობები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში შემოსულობების სახით ტრანსფერების ჩათვლით სულ მობილიზებულია 6881.5 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული 7033.1 ათასი ლარის ნაცვლად. შემოსულობების გეგმა შესრულებულია 97.8 % ით. გადასახდელების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია სულ 2164.0 ათასი ლარი, დაგეგმილის 93.8 % / დაზუსტებული გეგმა 2306.0 ათასი ლარი/. გრანტების სახით 2012 წლის ბიუჯეტში მობილიზებულია სულ 4195.9 ათასი ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 4202.3 ათასი ლარის. შემოსავლების გეგმა შესრულებულია 99.8 % ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულებულია 97%-ით / გეგმა - 323.5 ათასი ლარი, საკასო - 313.8 ათასი ლარი/;

არაფინანსური აქტივების კლების გეგმა შესრულებულია 103.2%-ით / გეგმა - 2013 ათასი ლარი, საკასო - 207.8 ათასი ლარი/.

2012 წლის ბიუჯეტის შემოსავლებში ჩართულია 2010 წლის 21 იანვარს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წალენჯიხის

მუნიციპალიტეტისათვის შეძენილი ექსკავატორ-მტვირთავის(ღირებულება შეადგენს 130580 ლარს, რომელიც უნდა დაიფაროს პერიოდულად 2018 წლის იანვრამდე) იჯარით გაცემიდან მიღებულია შემოსავალი 4.5 ათასი ლარი, მაშინ როდესაც ამ ტრაქტორის გადასახდელი ღირებულებიდან 2012 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდში გადახდილია 16436 ლარი, ანუ 11936 ლარით მეტი, ვიდრე მიღებული შემოსავალია.

2.ბიუჯეტის გადასადელოები

მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯი შეადგენს 8082.0 ათას ლარს, დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 159.5 ათასი ლარით მეტს(დაზუსტებული გეგმა-7922.5 ათასი ლარი). ფაქტიური ხარჯი საკასო ხარჯთან მიმართებაში შეადგენს 317.0 ათასი ლარით მეტს (ფაქტიური ხარჯი-8082.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯი-7765.0 ათასი ლარი). წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების დასაფარავად 2012 წელს გაწეულია 7765.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი, (მ.შ. 889.4 ათასი ლარი 2012 წლის 1 იანვრისათვის არსებული გარდამავალი ნაშთი),გეგმით გათვალისწინებულის 98 % (გადასახდელების გეგმა - 7922.5 ათასი ლარი), მათ შორის:

- შრომის ანაზღაურების სახით - 1237.2 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 15.94%;
- საქონელსა და მომსახურებაზე- 821.2 ათ. ლარი მთლიანი გადასახდელების 10.58%
- სუბსიდიებზე - 1877.0 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 24.17 %
- სოციალურ უზრუნველყოფაზე -566.4 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 7.29 %.
- სხვა ხარჯებზე- 274.0 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 3.53%
- არაფინანსური აქტივების ზრდაზე-2989.3 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 38.49%.

ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მომსახურებაზე საკასო ხარჯმა შეადგინა 1784.6 ათასი ლარი, ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 22.98%; საგანგებო სიტუაციების მართვის საქალაქო სამსახურზე - 289.1 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 3.72 %; შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოებზე - 110.3 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 1.42%; თავდაცვის ღონისძიებებზე -88.9 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 1.14 %; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე-3389.4 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 43.65 %; საგანმანათლებლო ღონისძიებებზე-538.0 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 6.93 %; სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე- 904.3 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 11.64%; სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე -660.4ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 8.5%.

ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ხარჯების ანალიზმა ცხადყო, რომ შედარებით დაბალი ხვედრითი წილით არის ხარჯები გათვალისწინებული განათლებაზე, სოციალურ დაცვასა და ჯანდაცვაზე,

რაც განპირობებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მწირი შემოსულობებით.

ა) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

არსებული მონაცემებით, სახელმწიფო მომსახურების კუთხით საკასო ხარჯი გაწეულია 1784.6 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმის 97.3%, საიდანაც წარმომადგენლობითი ორგანოს ხარჯების დასაფარავად გაწეულია საკასო ხარჯი 330.7 ათასი ლარი, დაგეგმილის 93.7%. მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე - 202.9 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯების 61.3%; საქონელსა და მომსახურებაზე - 127.9 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯების 38.7%.

აღმასრულებელი ორგანოს ხარჯების დასაფარავად გაწეულია საკასო ხარჯი 1434.4 ათასი ლარი, დაგეგმილის 98.6%; მათ შორის:

შრომის ანაზღაურების სახით გაწეულია საკასო ხარჯი 784.0 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯების 54.6%; საქონელსა და მომსახურებაზე - 414.8 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯების 28.9%; არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულია საკასო ხარჯი 235.6 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯების 16.4%

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, აღმასრულებელი ორგანოს შრომის ანაზღაურების ხარჯებში გადახარჯვაა 5.7 ათასი ლარი, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში, როგორც წარმომადგენლობით, ისე აღმასრულებელი ორგანო~~ს~~ ხარჯების გეგმა არ არის შესრულებული.

ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

სამსახურის ღონისძიებები დაფინანსებულია 289.1 ათასი ლარით, გეგმიურის 97.8% /გეგმა 295.5 ათასი ლარი/, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია საკასო ხარჯი - 202.7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 35.0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 51.4 ათასი ლარი. ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შრომის ანაზღაურების ხარჯებში გადახარჯვაა 7.7 ათასი ლარი, ყველა დანარჩენი კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების გეგმა არ არის შესრულებული.

გ) შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოს დაფინანსება

ამ ფუნქციით 2012 წელს გაწეულია საკასო ხარჯი სულ 110.3 ათასი ლარი, დაგეგმილის 99.36% / გეგმა-111.0 ათასი ლარი/, მათ შორის: საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულია საკასო ხარჯი-89.6 ათასი ლარი, დაგეგმილის 80.7%, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულია საკასო ხარჯი 20.7 ათასი ლარი, დაგეგმილის 98.6%

დ) თავდაცვის ღონისძიებები

აღნიშნული ფუნქციით გაწეულია საკასო ხარჯი სულ 88.9 ათასი ლარი, დაგეგმილის 98.77% / გეგმა- 90.0 ათასი ლარი/. მათ შორის: ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შრომის ანაზღაურების ხარჯებში

2013 წლის 20 თებერვლის №2013/07-03 აუდიტორული დასკვნის დანართი

გადახარჯვაა 0.6 ათასი ლარი, დანარჩენი კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების გეგმა არ არის შესრულებული.

ე) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

აღნიშნული ფუნქციით გაწეულია საკასო ხარჯი 3389.4 ათასი ლარი, დაგეგმილის 97.87% /გეგმა- 3462.9 ათასი ლარი/. კონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით საქონლის და მომსახურების ხარჯებში გეგმის ზევით გაწეულია 63.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი, სხვა ხარჯებში გეგმის ზევით გაწეულია 23.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი, სუბსიდიების ხარჯების გეგმა შესრულებულია 97.8%-ით/გეგმა-508.5 ათასი ლარი/.

ვ) საგანმანათლებლო ღონისძიებები

აღნიშნული ფუნქციით მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს გაწეულია საკასო ხარჯი 538.0 ათასი ლარი, დაგეგმილის 100.1% /გეგმა 537.6 ათასი ლარი/, მათ შორის: ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით საქონელი და მომსახურებაზე გაწეულია საკასო ხარჯი 3.3 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმის 33%, სხვა ხარჯების გეგმით საერთოდ არ არის გაწეული საკასო ხარჯი/გეგმა-0.8 ათასი ლარი/, სუბსიდიის სახით გაწეულია 492.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი, დაგეგმილის 101.63% /გეგმა-484.8 ათასი ლარი/; არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯების გეგმა შესრულებულია 100%-ით /გეგმა, საკასო ხარჯი-42.0 ათასი ლარი/.

ზ) სპორტული და კულტურული ღონისძიებები

აღნიშნული ფუნქციით 2012 წელს გაწეულია საკასო ხარჯი 904.3 ათასი ლარი, დაგეგმილის 98.87% /გეგმა-914.6 ათასი ლარი/, მათ შორის: ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით საქონელი და მომსახურებაზე გაწეულია საკასო ხარჯი 10.3 ათასი ლარი, დაგეგმილის 24.46%, /გეგმა-42.1 ათასი ლარი/, სუბსიდიებზე გაწეულია 804.3 ათასი ლარი საკასო ხარჯი, დაგეგმილის 99.11% /გეგმა-811.5 ათასი ლარი/; სხვა ხარჯებზე დაზუსტებული გეგმით ხარჯი დაგეგმილი არ იყო, ფაქტიური საკასო ხარჯი შეადგენს 25.4 ათას ლარს; არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულია 64.3 ათასი ლარი საკასო ხარჯი, დაგეგმილის 105.4% /გეგმა-61.0 ათასი ლარი/.

თ) სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა

აღნიშნული ფუნქციით საანგარიშო წელს გაწეულია საკასო ხარჯი 536.0 ათასი ლარი, დაგეგმილის 97.6%/გეგმა - 549.3 ათასი ლარი/ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების გეგმა არცერთ სახეობაში არ არის შესრულებული.

როგორც მე-2 თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, 2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებასთან შედარებით(საკასო ხარჯი-

7765.0 ათასი ლარი) ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 317.0 ათასი ლარით მეტი (ფაქტიური ხარჯი-8082.0 ათასი ლარი), რომელიც გარდამავალი ვალდებულების სახით გადავიდა 2013 წლის 1 იანვრისათვის. ბიუჯეტის შემოსულობების წყაროს არარსებობის შემთხვევაში გაუგებარია რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო გაწეული ფაქტიური ხარჯის 317.0 ათასი ლარის დაფინანსება.

გარდა ზემოთ აღნიშნული დაუფარავი ვალდებულებებისა, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში გამოვლინდა 2012 წლის აუდიარებული ვალდებულებები 65.5 ათასი ლარის მოცულობით, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილებების გზით.

2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ხარჯების გეგმის შეუსრულებლობის პირობებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულია შემდეგი არაპრიორიტეტული ხარჯები, როგორიცაა: 1) 2012 წლის 13 იანვარს 101.8 ათას ლარად შეძენილი ა/მანქანა „ტოიოტა პრადო“, ამავე დღეს ამ მანქანის სათადარიგო ზამთრის საბურავებისათვის და მინების დაბურვისათვის გადარიცხული 2.1 ათასი ლარი. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება თანახმად სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილის 2012 წლის 24 იანვრის №07-01-06/87 წერილობითი მოთხოვნისა, უსასყიდლო უზურფრუქტის სახით გადაცემულია სამხარეო ადმინისტრაციაზე; 2) სამხარეო ადმინისტრაციის 2012 წლის 8 მაისის №07-01-06/679 წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 21 ივნისს 34.25 ათას ლარად შეძენილი ა/მანქანა „ტოიოტა რაე-4“, რომელიც იმავე წლის 6 ივლისს ხელშეკრულებით 5 წლიანი თხოვების ვადით გადასცეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციას. აღნიშნული არაპრიორიტეტული ხარჯის 138.15 ათასი ლარის არგაწევის პირობებში შესრულებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსების გეგმა, როგორიცაა: 1) მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა დახმარება (გეგმის შესრულებას დააკლდა 6.8 ათასი ლარი); 2) გაჭირვებულ ოჯახთა ერთჯერადი დახმარებები (გეგმის შესრულებას დააკლდა 4.7 ათასი ლარი); 3) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება (გეგმის შესრულებას დააკლდა 0.4 ათასი ლარი) და სხვა მრავალი მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

დანართი №--- 16-24 -- ფურცლად

III სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა და კანონზომიერება

მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერების სახით შემოსულობებმა შეადგინა 4195.9 ათასი ლარი, საიდანაც 999.2 ათასი ლარი გათანაბრებითი ტრანსფერია, 170.0 ათასი ლარი არის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული

უფლებამოსილების განსახორციელებლად, 3026.7 ათასი ლარი სპეციალური დანიშნულების ტრანსფერია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სპეციალური დანიშნულების ტრანსფერიდან: მთავრობის 18 იანვრის №55 განკარგულებით გამოყოფილი 500.0 ათასი ლარი გახარჯულია ქ. წალენჯიხაში ცენტრალური პარკის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე; მთავრობის 24 მაისის №972 განკარგულებით გამოყოფილი 625.0 ათასი ლარიდან მიღებულია 618.6 ათასი ლარი, რომელიც გახარჯულია ქ.წალენჯიხის გზების რეაბილიტაციაზე და ქ.ჯვარში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გადახურვაზე; მთავრობის 31 იანვრის №162 განკარგულებით გამოყოფილი 734.0 ათასი ლარი გახარჯულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით; მთავრობის 23 მარტის №501 განკარგულებით გამოყოფილი 60.0 ათასი ლარი გახარჯულია მუნიციპალიტეტის თემებში შიდა გზების მოხრეშვაზე; პრემიერ-მინისტრის 13 ივლისის №1380 განკარგულებით გამოყოფილი 16.0 ათასი ლარი გახარჯულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებაზე; პრეზიდენტის 13 ივლისის №13/07/07 განკარგულებით, პრეზიდენტის 26 ივლისის №26/07/11 განკარგულებით, პრემიერ-მინისტრის 30 ივლისის №1162 განკარგულებით გამოყოფილი შესაბამისად 200.0 ათასი, 200.0 ათასი და 145.0 ათასი ლარი—სულ 545.0 ათასი ლარი გახარჯულია ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების დასაფინანსებლად; პრემიერ-მინისტრის 20 ივლისის №1125 ბრძანებით გამოყოფილი 53.1 ათასი ლარი გახარჯულია სტიქიის შედეგად დაზარალებული ორი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინების შეძენაზე; მთავრობის 11 დეკემბრის №1995 განკარგულებით გამოყოფილი 500.0 ათასი ლარი გახარჯულია აღებული ვალდებულებების და მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოებზე გაფორმებულია ხელშეკრულებები შემსრულებელ ორგანიზაციებთან, შედგენილია დეუქტური აქტები და ხარჯთაღრიცხვები, შესრულებულ სამუშაოებზე არის ექსპერტიზის დასკვნები და სამუშაოები შემოწმებულია ინსპექტირების ჯგუფის მიერ, რაზედაც შედგენილია სათანადო დასკვნები.

IV. დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების რეალობა

არსებული მონაცემებით, მუნიციპალიტეტს 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 317.0 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, აქედან – 20.2 ათასი ლარი საცხოვრებელი სახლების გადახურვაზე აღებული გაუნაღდებელი ვალდებულებათა, 28.4 ათასი ლარი- ობუჯის თემში ხიდ-ბოგირების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის, 10.7 ათასი ლარი- სასაფლაოების მოწყობის, 5.5 ათასი ლარი- ეკლესიის გადახურვის, 20.0 ათასი ლარი- ადმინისტრაციული შენობის დაცვის ხარჯის, 2.4 ათასი ლარი-სხვადასხვა პროექტების შედგენის ღირებულების, 229.8 ათასი ლარი-ცენტრალური პარკის რეკონსტრუქციის.

გარდა აღიარებული ვალდებულებისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2012 წელს წარმოქმნილია 65.5 ათასი ლარის ვალდებულება, რომელიც 2013 წლის 20 თებერვლის №2013/07-03 აუდიტორული დასკვნის დანართი

შპს "L აუდიტი" 10
გათვალისწინებული უნდა იქნეს 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელების
ნაწილში.

V. ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშების წარმოების მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურში ბუღალტრული აღრიცხვა
ნაწარმოებია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28
დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნათა
შესაბამისად.

საფინანსო სამსახურში ბუღალტრული აღრიცხვას ემსახურება სამი
თანამშრომელი, რომლებიც აღრიცხვას ახორციელებენ ელექტრონული
საინფორმაციო სისტემების მეშვეობით. ბუღალტრული აღრიცხვა-
ანგარიშების წარმოების შემოწმებისას გამოვლინდა, რომ არ ხდება
პირველადი დოკუმენტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აკინძვა
საქალაქებში.

VI. ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მდგომარეობა

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წალენჯიხის
მუნიციპალიტეტს შესაბამის სუბანგარიშებზე ერიცხებოდა 6010.6 ათასი
ლარის შენობა-ნაგებობები, 128.1 ათასი ლარის არასასოფლო-სამეურნეო
სამეურნეო დანიშნულების მიწა, 590.5 ათასი ლარის მაქანა-
მოწყობილობები, საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი, სატრანსპორტო
საშუალებები. საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელებული
ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად 2013 წლის 1 იანვრის
მდგომარეობით შენობა-ნაგებობების ღირებულებამ შეადგინა 8653.1 ათასი
ლარი, ასევე განხორციელებული შესყიდვების შედეგად მანქანა-
მოწყობილობების, საწარმოო და სამეურნეო ინვენტარის, სატრანსპორტო
საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 948.0 ათასი ლარი, არასასოფლო-
სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შედეგად მისი
ღირებულება შემცირდა 51.98 ათას ლარამდე.

აუდიტით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ
ბრძანებების საფუძველზე დანიშნული არ არიან მატერიალური
პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი
საშუალებების შენახვა-აღრიცხვას და მათ მოძრაობაზე კონტროლს, არ
ტარდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია.

VII. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვის მდგომარეობა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვების სააგენტოში
შესყიდვების გეგმა წარდგენილი იქნა 27.01.2012 წელს, ნაცვლად
შესყიდვების კანონით გათვალისწინებული 20.11.2011 წლისა. მაშასადამე,
დარღვეული იქნა შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-4
2013 წლის 20 თებერვლის №2013/07-03 აუდიტორული დასკვნის დანართი

პუნქტის მოთხოვნა. გეგმის მიხედვით განისაზღვრა წალენჯიხის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2125,9 ათასი ლარის სამუშაოების შესყიდვა, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან 2480,9 ათასი ლარის სამუშაოების შესყიდვა. წარმოდგენილი წლიური ანგარიშების თანახმად, ცენტრალური ბიუჯეტიდან გახარჯული იქნა 2475,9 ათასი ლარი, მაშინ როცა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 2480,9 ათასი ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გახარჯული იქნა 1688,7 ათასი ლარი, მაშინ როცა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 2125,9 ათასი ლარი. შემსრულებელ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების შესწავლით აღმოჩნდა მთელი რიგი შეუსაბამობანი, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: ხშირ შემთხვევებში შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული უფლების იგნორირებით არ ხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოების მიმდინარე კონტროლი, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტების არ არსებობა. სამუშაოების მიღება ხდება მხოლოდ შესრულებული სამუშაოების ამსახველი აქტებისა და ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე, რასაც თან არ ახლავს მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება. როცა შემსრულებელს ხარვეზების გამოსასწორებლად ეძლევა გარკვეული დრო, არ არის მითითებული ამ უკანასასკნელის მიხედვითაც ვრცელდება თუ არა საურავები. პირსაგამტეხლო თანხა რის საფუძველზე იცვლება სხვადასხვა შემსრულებელთან მიმართებაში, თანხმდები დოკუმენტების არ არსებობის გამო, უცნობი რჩება. განსაკუთრებით საყურადღებოა შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულება მუშახელის 70%-ს ადგილობრივი კადრებით დასაქმებაზე, რომლის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები საერთოდ ვერ იქნა წარმოდგენილი.

დანართი № — 25-38 — ფურცლად

რეკომენდაცია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის ფინანსური ანგარიშის აუდიტის ჩატარების შემდეგ მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

1. უზრუნველყონ ბიუჯეტის სწორი დაგეგმარება, რაც საწინდარი იქნება როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტის გეგმის შესრულების.
2. ბიუჯეტის შემოსულობების წყაროს არარსებობის შემთხვევაში არ განხორციელდეს ისეთი პროექტები, რომლის დაფინანსების წყარო უცნობია, რაც მძიმე ტვირთად აისახება მომავალი წლის ბიუჯეტში, როგორც ეს 2013 წლის ბიუჯეტის შედგენისას მოხდა.
3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, შესაბამისად, ასეთი მწირი ბიუჯეტის პირობებში დაუშვებელია ისეთი ხარჯების

- გაწევა, როგორც სასამხარეო ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებისათვის ძვირადღირებული მანქანების შეძენა.
4. გამოიყოს სპეციალური კომისია, რომელიც სრულად აღრიცხავს მუნიციპალიტეტის ქონებას და შემდეგ მოხდეს ქონების სრულად აღრიცხვა მუნიციპალიტეტის ბალანსში, ჩატარდეს სრულყოფილი ინვენტარიზაციები.
 5. შესყიდვების როგორც დაგეგმვისას, ისე განხორციელებისას დაცული იქნას შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისი მოთხოვნები, ხოლო სამუშაოების მიმდინარეობისას - დადებული ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები. რაც იქნება სამუშაოების როგორც სრულყოფილად და დროულად ჩატარების, ისე ადგილობრივი კადრების დასაქმების საფუძველი.
 6. მოხდეს რეალური საბაზრო ღირებულებით იჯარით გაცემა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან შეძენილი მტვირთავ-ექსკავატორის, რომლის განხორციელების შემდეგ ბიუჯეტიდან დამატებით აღარ მოხდება მგფ-ში მისი გამოსყიდვის ღირებულების გადახდა.

შპს „L აუდიტი“-ს მთავარი სპეციალისტები:



ა. ნატროშვილი

ზ. მურჯიკელი